



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი



დაბა ჩოხატაური, აკაკი წერეთლის ქ. N2; Chokhatauri district, Akaki Tsereteli st. N2; E-mail: contact@chokhatauri.gov.ge

მუნიციპალიტეტის მერის ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 324
13/03/2020

324-05-4-202003131744



ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიაში საქმიანობის განსაკუთრებულ ღონისძიებათა განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით საჯარო დაწესებულებებში საქმიანობის განსაკუთრებულ ღონისძიებათა განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 12 მარტის N529 განკარგულების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

- ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების წინააღმდეგ ერთიანი ღონისძიებების განხორციელების მიზნით, სამსახურში არ გამოცხადდეს საჯარო დაწესებულების ის თანამშრომელი:
 - რომელიც 2020 წლის 12 მარტამდე, ბოლო 7 კალენდარული დღის განმავლობაში იმყოფებოდა ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ იდენტიფიცირებულ ახალი კორონავირუსის მაღალი გავრცელების ქვეყანაში (ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, სამხრეთ კორეა, იტალიის რესპუბლიკა, ირანის ისლამური რესპუბლიკა, ავსტრიის რესპუბლიკა, საფრანგეთის რესპუბლიკა, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, ესპანეთის სამეფო) ან მოემგზავრება ასეთი ქვეყნების გავლით - საქართველოში დაბრუნებიდან 2 კვირის განმავლობაში;
 - რომელიც 2020 წლის 12 მარტისთვის ან შემდეგ იმყოფება ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ქვეყანაში და დაბრუნდა საქართველოში - საქართველოში დაბრუნებიდან 2 კვირის განმავლობაში;
 - რომელსაც კონტაქტი ჰქონდა იმ პირთან, რომელსაც დაუდასტურდა ახალი კორონავირუსი.
- აბ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრულმა პირმა:
 - ამავე ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული 2-კვირიანი პერიოდი გაატაროს თვითიზოლაციის წესების დაცვით;
 - სამსახურში გამოუცხადებლობის მიზეზისა და რისკჯგუფში შემავალ პირთან კონტაქტის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურს და გადავიდეს თვითიზოლაციის რეჟიმში;

- გ) შესაძლებლობის შემთხვევაში, სამუშაო შეასრულოს დისტანციურად, უშუალო ხელმძღვანელის მიერ გაცემული დავალებების შესაბამისად.
3. მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლებმა უზრუნველყონ ჯანმრთელობის დაცვის პროტოკოლების, რეკომენდაციებისა და ჰიგიენების წესების დაცვა.
 4. შეიზღუდოს სამსახურებრივი მივლინებები, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა.
 5. მუნიციპალიტეტის მერიაში დასაქმებულმა პირებმა მწვავე რესპირაციული დაავადების სიპტომის არსებობის შემთხვევაში, მიმართონ ექიმს, აგრეთვე აცნობონ დაწესებულებებში ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელ თანამდებობის პირს, თუ საჭიროა თვითიზოლაციის რეჟიმში გადასვლა.
 6. ეპიდემიური საფრთხის შემცირებამდე:
 - ა) შეიზღუდოს დაწესებულების მიერ საჯარო ღონისძიებების ორგანიზება გარეშე პირთა მონაწილეობით;
 - ბ) მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში დაწესდეს გარეშე პირთა დაშვების და გადაადგილების მაქსიმალური შეზღუდვა/რეგულირება, კერძოდ მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში გარეშე პირის შემოსვლის შემთხვევაში, დაცვის სამსახურის თანამშრომელი უკავშირდება შესაბამის სამსახურის თანამშრომელს, რომელიც მოქალაქესთან სატელეფონო გასაუბრების შემდეგ, საჭიროების შემთხვევაში ხვდება მოქალაქეს შენობის პირველ სართულზე, ადმინისტრაციული შენობის შესასვლელთან;
 - გ) სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელებმა განსაზღვრონ ის თანამშრომლები, რომლებით გადავლენ დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე. აღნიშნული სამუშაო რეჟიმი არ ნიშნავს სამუშაო საათების შემცირებას ან თანამშრომელთა შვებულებაში ყოფნას. საჭიროების შემთხვევაში, დისტანციურ სამუშაო რეჟიმში გადასული თანამშრომელი სამსახურში მოთხოვნისთანავე, დაუყოვნებლივ (არა უგვიანეს 1 საათისა) უნდა გამოცხადდეს.
 7. ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრულ პირს უნარჩუნდება შრომის ანაზღაურება.
 8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქუჩა N4.
 9. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ირაკლი კუჭავა

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა

